საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/426
17.07.2023

ბრძანება

426-01-4-202307171712

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა“ თანდართული ფორმით.
2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას 2023 წლისთვის.

დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით გამოკვეთოს პირველი რიგის პრიორიტეტები, რომელთა აღსრულებაც, კომპეტენციის ფარგლებში, 2023 წელს უნდა განხორციელდეს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან - რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას.

დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) მიერ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კოორდინაციით.

1. ამოცანა

2022 წლის განმავლობაში, სააგენტომ შშმ პირთა უფლებების დამცველ ასოციაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში, უზრუნველყო ერთი შშმ პირისთვის პრაქტიკის გატარება იურიდიულ დეპარტამენტში.

2023 წლის განმავლობაში, სააგენტო გეგმავს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, მომხმარებლების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ვიდეო-რგოლის შშმ პირთათვის ადაპტირებული ფორმით დამზადებას, სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში გაშვებას და სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერზე განთავსებას.

2. ლოგიკური ჩარჩო

<table>
<tr><td>ამოცანა 1.</td><td colspan="4">შშმ პირთა ცნობიერების ამაღლება „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებების შესახებ</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.</td><td colspan="4">„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, მომხმარებლების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ვიდეო-რგოლი დამზადდება და სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში (ასევე, სააგენტოს ვებ-გვერდზე) განთავსდება შშმ პირებთან ადაპტირებული ფორმით.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">შედეგის ინდიკატორი:
ვიდეო-რგოლი დამზადებულია და განთავსებულია სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში (ასევე, სააგენტოს ვებ-გვერდზე) შშმ პირებთან ადაპტირებული ფორმით.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>პარტნიორი ორგანიზაცია</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>0</td><td>TWINNING-ის პროექტი „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება“</td><td>0</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</td></tr>
</table>